შემოსავლების სამსახური

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16
ტელ: +995 (32) 226 11 42, +995 (32) 226 11 16
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge

66561-21-04-2-201805240904

N 21-04/66561

24/05/2018

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
აღსრულების ეროვნული ბიუროს
თბილისის სააღსრულებო ბიუროს სპეციალისტ-აღმასრულებელს
ქალბატონ ნინო თვაურს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 02 მაისის #A18046943-004/002 წინადადების გათვალისწინებით გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას.

დანართი 10 (ათი) ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა ნოზაძე

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

დავების დეპარტამენტი

N 54586-21-10 23/05/2018

დავების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს

ბატონ მამუკა ნოზაძეს

ბატონო მამუკა,

თქვენი 2018 წლის 4 მაისის N47101-21-04 წერილთან დაკავშირებით, გიგზავნით ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ მოთხოვნილ, ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტაციას.

დანართი: 8 გვერდი.

პატივისცემით,

ემელიანე მამალაძე

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

საბაჟო დეპარტამენტი

06

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
შემოსავლების სამსახური

ბრძანება № 1648

„19“ 06 2009 წელი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის № 157 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მათი ფუნქციონირების, საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის № 157 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მათი ფუნქციონირების, საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის № 170 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმების და შ.პ.ს. „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ“-ის დირექტორის მიხეილ თიგიშვილის 2009 წლის 10 ივნისის № 01-07 (რეგ: № 23416, 10.06.2009 წ.) წერილობითი მომართვის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქუთაისის თიზ-ის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის № 106 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თიზ-ის შესაბამისობის დადასტურების ან უარყოფის მიზნით, განისაზღვროს სამუშაო ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

რომან ჩხენკელი – საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის სპეციალური საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი;

დიმიტრი თალაკვაძე – საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის სპეციალური საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;

მიხეილ ქავთარაძე – საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის საბაჟო დამუშავების ოპერაციების მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ბესო მაისურაძე – საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის ოპერატიული მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ირაკლი ტაბაღუა – ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსი;

ტარიელ ცხოვრებაძე – ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საბაჟო დამუშავების ოპერაციის სამმართველოს უფროსი;

ხვიჩა მარგველაშვილი – ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საბაჟო დამუშავების ოპერაციის სამმართველოს ინსპექტორი;

2. სამუშაო ჯგუფს დაევალოს:

ა) განსაზღვროს თიზ-ის დათვალიერების თარიღი და შეატყობინოს ორგანიზატორს;

ბ) თიზ-ის დათვალიერებისას შეადგინოს, დათვალიერების შედეგების ამსახველი აქტი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი;

3. ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების, ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ დაგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის, ქუთაისის რეგიონალური ცენტრისთვის (საგადასახადო ინსპექციისთვის) და შ.პ.ს. „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგ"-ისთვის (მისამართი: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. № 28/30).

გრიგოლ გობეჯიშვილი

სამსახურის უფროსი

ქუთაისის თიზ-ის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის № 106 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, თიზ-ის შესაბამისობის ამსახველი აქტი

ქ. ქუთაისი 29 ივნისი 2009 წ.

ქუთაისის თიზ-ის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის № 106 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თიზ-ის შესაბამისობის დადასტურების ან უარყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 19 ივნისის № 1648 ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის მიერ,

შემდეგი შემადგენლობით:

რომან ჩხენკელი – საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის სპეციალური საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი;

დიმიტრი თალაკვაძე – საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის სპეციალური საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;

მიხეილ ქავთარაძე – საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის საბაჟო დამუშავების ოპერაციების მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ბესო მაისურაძე – საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის ოპერატიული მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ირაკლი ტაბაღუა – ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსი;

ტარიელ ცხოვრებაძე – ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საბაჟო დამუშავების ოპერაციის სამმართველოს უფროსი;

ხვიჩა მარგველაშვილი – ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საბაჟო დამუშავების ოპერაციის სამმართველოს ინსპექტორი;

მიმდინარე წლის 29 ივნისს დათვალიერებული იქნა, ავტომშენებლის ქ. № 88-ში, ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მდებარე საბაჟო საგუშაგოსათვის განკუთვნილი ტერიტორია.

დათვალიერების შედეგებმა ცხადყო, რომ საბაჟო საგუშაგოსთვის განკუთვნილი ტერიტორია შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის № 106 დადგენილების პირველი მუხლის, მე-4 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რომან ჩხენკელი

დიმიტრი თალაკვაძე

მიხეილ ქავთარაძე

ბესო მაისურაძე

ირაკლი ტაბაღუა

ტარიელ ცხოვრებაძე

ხვიჩა მარგველაშვილი

შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 40103

27/10/2015

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 მუხლის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №549 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თიზ-ის შესაბამისობის დადასტურების ან უარყოფის მიზნით, განისაზღვროს სამუშაო ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი კობეშავიძე - საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ალექსანდრე უჯმაჯურიძე - საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ივეტა მელაძე - საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოს მთავარი მეგბაჟე–ოფიცერი;

ირინე თედიაშვილი - საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოს მეგბაჟე–ოფიცერი;

გოგა სამსონია - საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს მთავარი ანალიტიკოსი.

2. სამუშაო ჯგუფს დაევალოს:

ა) განსაზღვროს თიზ–ის დათვალიერების თარიღი და შეატყობინოს ორგანიზატორს;

ბ) თიზ–ის დათვალიერებისას შეადგინოს, დათვალიერების შედეგების ამსახველი აქტი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი

თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №549 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თიზ-ის შესაბამისობის ამსახველი აქტი

ქ. თბილისი

27 ოქტომბერი 2015 წელი

თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №549 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თიზ-ის შესაბამისობის დადასტურების ან უარყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 27 ოქტომბრის N40103 ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის მიერ,

შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი კობეშავიძე - საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ალექსანდრე უჯმაჯურიძე - საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ივეტა მელაძე - საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოს მთავარი მებაჟე–ოფიცერი;

ირინე თედიაშვილი - საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოს მებაჟე–ოფიცერი;

გოგა სამსონია - საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს მთავარი ანალიტიკოსი.

2015 წლის 27 ოქტომბერს დათვალიერებული იქნა, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სამრეწველო ზონაში ყოფილი „ტარზი"–ს ტერიტორიაზე მდებარე თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მდებარე საბაჟო გამშვები პუნქტისათვის განკუთვნილი ტერიტორია.

დათვალიერების შედეგებმა ცხადყო, რომ საბაჟო გამშვები პუნქტისათვის განკუთვნილი ტერიტორია შეესაბამება თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №549 დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გიორგი კობეშავიძე -

ალექსანდრე უჯმაჯურიძე -

ივეტა მელაძე -

ირინე თედიაშვილი -

გოგა სამსონია -

შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 21973

22/06/2015

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 მუხლის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტისა და შპს „GEORGIAN HUASHUN INTERNATIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD“-ს 2015 წლის 17 ივნისის №100841/21 განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის №109 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თიზ-ის შესაბამისობის დადასტურების ან უარყოფის მიზნით, განისაზღვროს სამუშაო ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი კობეშავიძე - საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ნიკოლოზ ჩაგანავა - საბაჟო გამშვები პუნქტის „ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ უფროსი

ივეტა მელაძე - საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოს მთავარი მეგბაჟე–ოფიცერი;

დავით ხუციშვილი - საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოს მთავარი მეგბაჟე–ოფიცერი;

ბერიკა წერეთელი - საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს წამყვანი ანალიტიკოსი.

2. სამუშაო ჯგუფს დაევალოს:

ა) განსაზღვროს თიზ–ის დათვალიერების თარიღი და შეატყობინოს ორგანიზატორს;

ბ) თიზ–ის დათვალიერებისას შეადგინოს, დათვალიერების შედეგების ამსახველი აქტი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური

ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის №109 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თიზ-ის შესაბამისობის ამსახველი აქტი

ქ. ქუთაისი 26 ივნისი 2015 წელი

ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის №109 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თიზ-ის შესაბამისობის დადასტურების ან უარყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 22 ივნისის N21973 ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის მიერ,

შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი კობეშავიძე - საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ნიკოლოზ ჩაგანავა - საბაჟო გამშვები პუნქტის „ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის" უფროსი

დავით ხუციშვილი - საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოს მთავარი მებაჟე–ოფიცერი;

ბერიკა წერეთელი - საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს წამყვანი ანალიტიკოსი.

2015 წლის 26 ივნისს დათვალიერებული იქნა, ავტომშენებლის ქ. N88-ში მდებარე ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მდებარე საბაჟო გამშვები პუნქტისათვის განკუთვნილი ტერიტორია.

დათვალიერების შედეგებმა ცხადყო, რომ საბაჟო გამშვები პუნქტისათვის განკუთვნილი ტერიტორია შეესაბამება ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის №109 დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გიორგი კობეშავიძე -

ნიკოლოზ ჩაგანავა -

დავით ხუციშვილი -

ბერიკა წერეთელი -